

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N13

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

25.07.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გიორგი ივანიაძე**.

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 7 წევრი: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე (დანართი N1).

სხდომას ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნარგიზი ალფაიძე**.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ბიუროს სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ .

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) მიუზიკული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნარგიზი ალფაიძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ს (ს/კ 429651469) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 306 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნარგიზი ალფაიძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: რამაზ არველაძე

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ტარიელ ბარამიძე

9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: გიგა გოგიბერიძე

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: ალექსანდრე ლილუაშვილი

11. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიამ კენჭი უყარა 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (დანართი N2).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადად ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა ა(ა)იპ სარაგბო „კლუბ აიეტსა“ და ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებაში განხორციელებულმა რეორგანიზაციებმა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი N3).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეიმუშავეს სარეზერვო ფონდის განკარგვის ახალი წესი, რომელიც შედგება 4 მუხლისაგან და შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდა 2015 წლის 24 აპრილის N 19 დადგენილება.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები) ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ (დანართი N4).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანხმობას ითხოვენ, რათა ს/ს „სილქნეტს“ გადაეცეს 3 ერთეული ბოძი იჯარით ორი წლის ვადით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიამემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა)იპ - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ (დანართი N5).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც ითხოვენ თანხმობას, რათა „სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ გადაეცეს 47,6 კვმ ფართი უსასყიდლოდ პირდაპირი განკარგვის წესით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიამემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“(ს/კ

429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (დანართი N6).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ითხოვენ თანხმობას, რათა მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N20 352 ბრძანებაში შეიტანონ ცვლილებები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი“-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ (დანართი N7).

ამ საკითხშიც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ითხოვენ თანხმობას, რათა შეიტანონ ცვლილებები და დამატება მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 თებერვლის N20 306 ბრძანებაში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა რამაზ არველაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. 2019 წლის სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
2. ვანის მუნიციპალიტეტის სანიტარულ- ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
3. ვანის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოსმენა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით და არსებული პრობლემების შესახებ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა (დანართი N8).

დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6-თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა;
2. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
3. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

4. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა (დანართი N9).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბერიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა;
2. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა;
3. ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობა;
4. 2020 წელში რგპ ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების შერჩევის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეცხრე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა (დანართი N10).

დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის ალექსანდრე ლილუაშვილის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო, გიორგი ივანიაძემ ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც შედგენილია კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“;
2. „ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებების და ჯილდოების შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
3. ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე - ქალაქ ვანის ქუჩებსა და სკვერებში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების/სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/ მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცების და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
4. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა.“

მოსასმენი ინფორმაციები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა;
2. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
3. 2020 წელში რგპ ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების შერჩევის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეათე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა (დანართი N10).

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე